საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თამარ დედოფლის მღვიმე

თამარ დედოფლის მღვიმე, კარსტული მღვიმე ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქორთის მახლობლად, ფოცხვრევის ქედის დას. კლდოვან ფერდობზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მღვიმე იწყება ვრცელი გუმბათოვანი დარბაზით, რ-საც 8 მ სიგანის კარნიზი აქვს გადმოხურული. მღვიმის წინ ამოშენებულია 4 მ სიგანის, 0,8 მ სიმაღლის დუღაბის კედელი სამზერებითა და სარკმლით.

ნაგებობიდან მარჯვნივ, 15 მეტრზე, ბუნებრივი პატარა მღვიმეა (2×12×12) $მ^3$, რ-საც ხელოვნური დამუშავების კვალი ეტყობა. პირველი ცნობა თ. დ. მ-ის შესახებ (თუმცა ლეგენდის ხასიათისა) ეკუთვნის ცნობილ ქართვ. მოღვაწეს ი. მაჩაბელს. XX ს. 80-იან წლებში მღვიმე შეისწავლა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრ. ინ-ტის სპელეოექსპედიციამ.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.